

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი  
სამუშაო ჯგუფის შეკრების

ოქმი N 2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

20.06.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი სამუშაო ჯგუფის წევრები:

1. გიორგი ჯუღელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
2. ვიტალი ჩინჩალაძე (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
3. ერემია სალაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახური - ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილება - განყოფილების უფროსი
4. მარინა სუქნიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) სოციალური დაცვის სამსახური -სამსახურის უფროსი
5. მაია ხვედელიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური - სამსახურის უფროსი
6. ია ჭუმბაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური - ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილება - განყოფილების უფროსი
7. ზვიადი თავხელიძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
8. ცირა მაღლაკელიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური - ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილება - უფროსი სპეციალისტი
9. ვლადიმერ ხიხაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური - ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილება - უფროსი სპეციალისტი
10. ოლეგ შველიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) ა(ა)იპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი - უფროსი
11. ზაზა მახათაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა - დირექტორი
12. ზოია ლელაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - დირექტორი
13. მურთაზ ჯაფარიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა - დირექტორი

14. ომარი გველესიანი (სამუშაო ჯგუფის წევრი) ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი - დირექტორი
15. თინა თუთბერიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა - დირექტორი
16. დავით ნიორაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის კონსულტანტი;

ხდომას სამუშაო რეჟიმში ესწრებოდნენ:

1. გრიგოლ ხეცაძე - შ.პ.ს. „ყვირილა“-ს დირექტორი;
2. თენგიზ გაბელია - შ.პ.ს. „ზესტაფონის მუნიციპალური პარკირების რეგულირების საწარმო“-ს დირექტორი;

დღის წესრიგი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ჯუღელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, მუნიციპალურ საწარმოების (ა.(ა.)ი.პ. და შ.პ.ს.) წლიური ბიუჯეტის შესრულების, პროგრამების მიმდინარეობისა და არსებულის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით გასატარებელი ღონისძიებები.

შეხვედრა გახსნა გიორგი ჯუღელმა, რომელმაც სამუშაო ჯგუფის წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანი და ითხოვა ყველა წევრის მაქსიმალური ჩართულობა საკითხის უმოკლეს ვადაში შესასწავლად.

მან სამუშაო ჯგუფის წევრებს მოკლედ გააცნო ზესტაფონის მუნიციპალურ საწარმოებში არსებული მდგომარეობა, ასევე ისაუბრა 2023-2026 წლებში დასახული პრიორიტეტების შესახებ. დეტალური ანგარიშისათვის სიტყვა გადასცა ბატონ ვიტალი ჩინჩალაძეს. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა პრიორიტეტების შესამუშავებელი ფორმები, მათი წარმოდგენის ვადები და შევსების სპეციფიკაცია. მან თავის მხრის სიტყვა გადასცა სამუშაო ჯგუფის წევრ ვლადიმერ ხიხაძეს. ბატონმა ვლადიმერმა დეტალურად მიმოიხილა და სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ (მუნიციპალურ საწარმოების (ა.(ა.)ი.პ. და შ.პ.ს.) 2021 წელს დასახული მიზნებისა და დაგეგმილი საბოლოო შედეგების შესრულების ინდიკატორები პრიორიტეტების 03/03/2022 წლის N 22.22220625 ბრძანების დანართი N 7 -ის შესაბამისად.

ვლადიმერ ხიხაძემ კომისიას მოახსენა რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებიდან იკვეთება 2021 წელში მათ მიერ დაგეგმილ და ფაქტიურად შესრულებულ მიზნებს შორის 30, 40 და 100% იანი ცდომილობები, ეს იმ დროს როდესაც მათთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ათვისების მაჩვენებელი 100 % მდგა.

კრიტიკას ვერ უძლებს მდგომარეობა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილ შპს-ებში. ასე მაგალითად: წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშის მიხედვით შპს „პარკირების რეგულირების საწარმო“-ს მთლიანმა შემოსავალმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 1180 ლარი, რომელიც სრულიად გადაიხადა ქონების გადასახადის სახით, საანგარიშო წელს ორგანიზაციის თანამშრომლებზე არ დარიგებულა ხელფასები, არ აქვს კომუნალური და სხვა სახის ხარჯები მიმდინარე ხარჯები, ორგანიზაცია ფაქტიურად არ ფუნქციონირებს.

შპს „ქართული ტრადიციები“-ს 2021 წლის შემოსავალმა 450 ლარი შეადგინა, 3 თანამშრომელზე წლის განმავლობაში გაცემულია ხელფასი, სულ 400 ლარი, ქონების გადასახადი 20 ლარი, ბანკის მომსახურების საკომისიო 2 ლარი, ორგანიზაციის წლიურმა მოგებამ შეადგინა 28 ლარი.

2021 წელს შპს „ყვირილა“-ს წლიურმა შემოსავალმა 52 984 ლარი, ხოლო მოგებამ 1633 ლარი შეადგინა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 03/03/2022 წლის N 822.22220625 ბრძანების მოთხოვნების მიუხედავად კომისიისთვის ბრძანების დანართი N 7(განაცხადის ფორმა პროგრამის შესრულების თაობაზე) ამ დრომდე არ წარმოდგენიათ: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს; ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურს; სოციალური მომსახურების სამსახურს და შპს „ქალაქვაჭრობა“-ს, ა(ა)იპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრს, ა(ა)იპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრს და ა(ა)იპ ზესტაფონის მიხეილ სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრს.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე გიორგი ჯუღელმა ყურადღება გაამახვილა შ.პ.ს. „ზესტაფონის მუნიციპალური პარკირების რეგულირების საწარმო“-ში არსებულ მდგომარეობაზე, მან აღნიშნა, რომ საწარმოში არის სერიოზული გამოწვევები, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით საჭიროა გამოსწორდეს. ჩვენს მიერ მომზადებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც გაგზავნილი იქნება მუნიციპალიტეტის საკრებულოში განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს მუნიციპალური საწარმოების ხელმძღვანელებმა და დაეთანხმნენ ბატონ გიორგი ჯუღელის დასახულ გეგმა-გრაფიკს.

ოქმს ეთანხმებიან და ხელს აწერენ:

1. გიორგი ჯუღელი

2. ვიტალი ჩინჩალაძე

3. ერემია სალაძე

4. მარინა სუქნიძე

- |                      |                  |   |
|----------------------|------------------|---|
| 5. მაია ხვედელიძე    | / მ. ხვედელიძე   | / |
| 6. ია ჭუმბაძე        | / ი. ჭუმბაძე     | / |
| 7. ზვიადი თავხელიძე  | / ზ. თავხელიძე   | / |
| 8. ცირა მაღლაკელიძე  | / ც. მაღლაკელიძე | / |
| 9. ვლადიმერ ხიხაძე   | / ვ. ხიხაძე      | / |
| 10. ოლეგ შველიძე     | / ო. შველიძე     | / |
| 11. ზაზა მახათაძე    | / ზ. მახათაძე    | / |
| 12. ზოია ლელაძე      | / ზ. ლელაძე      | / |
| 13. მურთაზ ჯაფარიძე  | / მ. ჯაფარიძე    | / |
| 14. ომარი გველესიანი | / ო. გველესიანი  | / |
| 15. თინა თუთბერიძე   | / თ. თუთბერიძე   | / |
| 16. დავით ნიორაძე    | / დ. ნიორაძე     | / |